აპრილი 2022

# საზოგადოების განწყობა საქართველოში

## 2022 წლის თებერვლისა და მარტის სატელეფონო გამოკითხვებისა და 2022 წლის მარტის ფოკუს ჯგუფების ძირითადი მიგნებები

ჩატარებულია NDI–ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ

# რატომ ვატარებთ კვლევებს?

- რათა ხელი შევუწყოთ ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე;
  - რათა დავეხმაროთ დაინტერესებულ მხარეებს ამოიცნონ და იზრუნონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.
  - რათა დავეხმაროთ დაინტერესებულ მხარეებს შეისწავლონ უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენა საქართველოზე.

## თებერვლის კვლევა

- საველე სამუშაოების პერიოდი: თებერვალი 3 – 15
- 2,036 დასრულებული ინტერვიუ (18% გამოპასუხება, AAPOR სტანდარტების მიხედვით)
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 1.8%

## მარტის ფოკუს ჯგუფები

- საველე სამუშაოების თარიღები: მარტი 15 – 22, 2022
- თბილისი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი, ახალქალაქი და მარნეული
- ორი ჯგუფი თითოეულ ქალაქში: 18-28 y/o; 45+ y/o
- დისკუსიები ჩატარდა ონლაინ, Zoom-ის გამოყენებით.

## მარტის კვლევა

- საველე სამუშაოების თარიღ: 9-20 მარტი 2022
- 2,024 დასრულებული ინტერვიუ (18% გამოპასუხება, AAPOR სტანდარტების მიხედვით)
- საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 1.6%
- შენიშვნა: ცდომილების ზღვარი იცვლება სხვადასხვა კითხვის მიხედვით
- ახალი მონაცემების კვლევის წინა ტალღებთან შედარებისას გაითვალისწინეთ: ინტერვიუს მეთოდის ცვლილება შესაძლოა ცდომილებაზე აისახოს.

## შერჩევა

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით.
- რესპონდენტები მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით – შემთხვევით ნომერზე დარეკვის მეთოდით შეირჩნენ.
- ინტერვიუები ჩატარდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.
- კვლევა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის წარმომადგენლობითია (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). გარდა ამისა, კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის.

ხარისხის კონტროლი

- ყველა ინტერვიუერი გადის სპეციალურ ტრენინგს.
- კოორდინატორები CRRC-ის ცენტრალური ოფისიდან აწარმოებენ ინტერვიუერების მუშაობის ხარისხის კონტროლს.

# ზოგადი განწყობები

## ქვეყნის მიმართულება, ლიდერები და ინსტიტუტები

# მოსახლეობის უმეტესობისთვის საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო. თქვენ რომელს ეთანხმებით? (q3)



# უმრავლესობა პოლიტიკურად გადაუწყვეტელია

მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ან არ ასახელებს იმ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. კონკრეტული პარტია მხოლოდ 35%-მა დაასახელა.

პარტიების მხარდაჭერის ინდივიდუალური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ არჩევნების შედეგების გამოსაცნობად ვერ გამოდგება.

## რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (q7)



# ინსტიტუტების შეფასება უცვლელია. გამონაკლისია მხოლოდ პრეზიდენტი – მისი საქმიანობის დადებითი შეფასება თითქმის გაორმაგდა

გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით შემდეგი ინსტიტუტების საქმიანობას? (q6)

კარგად | საშუალოდ | ცუდად | არ ვიცი | უარი პასუხზე



# უმეტესობა ლიდერების უკრაინაში ომზე საპასუხო ქმედებებს დადებითად აფასებს

თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით უკრაინაში რუსეთის შეჭრაზე მათ საპასუხო ქმედებას? (q26)




მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ პრეზიდენტს ოდნავ მაღალი მხარდაჭერა აქვს ქალებში, ხოლო პრემიერ-მინისტრს შედარებით დაბალი შეფასება აქვს ახალგაზრდებსა და თბილისის მაცხოვრებლებს შორის.

“[პრემიერ-მინისტრის] განცხადებები [უკრაინის შესახებ] იყო ძალიან ხისტი, უხეში და ზედმეტად პირდაპირი. იგივე შინაარსით ზუსტად პრეზიდენტმა თქვა შედარებით მსუბუქად და ანუ შესაძლებელი ყოფილა იგივე აზრი სხვანაირად ჩამოეყალიბებინა.” – **თბილისის ფოკუს ჯგუფის მონაწილე , ქალი, 27 წლის**

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ

# საქართველოში საზოგადოების განწყობებში მომხდარი მთავარი ცვლილებები

#SlavaUkraini

# უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ საქართველოში საზოგადოების განწყობებში მომხდარი მთავარი ცვლილებები

**უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ:**

- ➔ საქართველოში უფრო მეტ მოქალაქეს მიაჩნია, რომ რუსეთი მეზობელი ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენს;
- ➔ გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, ვისაც სჯერა, რომ ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს ეკონომიკას გააძლიერებს და მეტ უსაფრთხოებას მოუტანს;
- ➔ შემცირდა მათი რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების სანაცვლოდ უარს იტყვის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე;
- ➔ მეტი მოქალაქე მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ევროკავშირთან უნდა ჰქონდეს;
- ➔ რუსეთმა პოზიციები დათმო საქართველოს მთავარი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორების სიაში;
- ➔ გაიზარდა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეზღუდოს.

# ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

# გამყარდა მოსაზრება, რომ საქართველოს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, ხოლო რუსეთთან პარტნიორობის მხარდაჭერამ იკლო

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობისთვის ყველაზე სასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორები **ევროკავშირი, აშშ და თურქეთი არიან.**

### რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური/ეკონომიკური თანამშრომლობა? არა უმეტეს სამი პასუხი. (q15, q16)



# ყოველი მეორე მოქალაქე ამბობს, რომ რუსეთის გავლენა საქართველოზე გაიზარდა

## თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგის გავლენა საქართველოზე გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა? (q19)



# მოსახლეობა რუსეთის გავლენას უარყოფითად, ხოლო ევროკავშირის, ნატოსა და აშშ-ს გავლენას დადებითად აფასებს

## რუსეთის გავლენა საქართველოზე

ეს საქართველოსთვის კარგია თუ ცუდია? (q20_1 X თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში რუსეთის გავლენა საქართველოზე გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა?)




## ევროკავშირის გავლენა საქართველოზე

ეს საქართველოსთვის კარგია თუ ცუდია? (q20_1 X თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში ევროკავშირის გავლენა საქართველოზე გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა?)




## ნატოს გავლენა საქართველოზე

ეს საქართველოსთვის კარგია თუ ცუდია? (q20_3 X თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში ნატო-ს გავლენა საქართველოზე გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა?)




## აშშ-ს გავლენა საქართველოზე

ეს საქართველოსთვის კარგია თუ ცუდია? (q20_4 X თითოეული ჩამოთვლილისთვის, გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 5 წლის განმავლობაში აშშ-ის გავლენა საქართველოზე გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა?)



# საქართველოს ევროპული
# და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია

# მოსახლეობა ევროკავშირში გაწევრიანებას კვლავ აქტიურად უჭერს მხარს

## მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (%)



# ომის დაწყების შემდეგ, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკასა და უსაფრთხოებას გააძლიერებს

## თუ მისაღებია, რატომ არის მისაღები? არაუმეტეს სამი პასუხი (q9) – 82%-დან, ვისთვისაც ევროკავშირში გაწევრიანება მისაღებია

აპრილი 2019 | ომის დაწყებამდე | ომის დაწყების შემდეგ



# უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველო ევროკავშირს დაშორდა

ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან, რომელს ეთანხმებით? ბოლო ხუთი წლის მანძილზე ... (q10)



# შემცირდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობით საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს

მოსაზრებას, რომ საქართველო ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, ყველაზე მეტად ახალგაზრდები ეთანხმებიან.

## გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? (q11)



# ევროკავშირის წევრობის განაცხადზე ხელმოწერა თანაბრად მისაღებია ყველასთვის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკისა და პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად

## ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს განაცხადი

3 მარტს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს. თქვენთვის მისაღებია თუ მიუღებელია ეს გადაწყვეტილება? (q33)



# მოსახლეობა ნატოში წევრობას კვლავაც აქტიურად უჭერს მხარს

“რა თქმა უნდა [NATO-სთან ურთიერთობები] უნდა გაძლიერდეს. სანამ პუტინი არის დიქტატორი, ჩვენ ყოველთვის საფრთხის ქვეშ ვიქნებით.” - **ზუგდიდი, კაცი, 27 წლის**

## მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატოს წევრი? (q13)



# ომის დაწყების შემდეგ, უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს, რომ ნატო საქართველოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს

## თუ მისაღებია რატომ არის მისაღები? (q14) – 71%-დან, ვისთვისაც საქართველოს ნატოში გაწევრიანება მისაღებია.




“ნატოსკენ სწრაფვას მოყვა ყველაფერი ეს უბედურება, ჩვენთანაც და უკრაინაშიც და მოყვება სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც, მაგრამ არის ერთი რაღაცა პოზიტივი, ღმერთმა ქნას ახლა თუ უკან დაიხია რუსეთმა, თუ დაახევინეს ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა”. –
ზუგდიდი, კაცი, 59 წლის

“ნატო-ში ინტეგრაცია უნდა დავაჩქაროთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავხდეთ ნატო-ს წევრი”, - **თელავი, კაცი, 66 წლის**

“არ უნდა შევწყვიტოთ სვლა [NATO-სკენ], მაგრამ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. ფრთხილი ნაბიჯებით უნდა ვიაროთ. პირდაპირ აქტიურად და ეგრევე ხმამაღლა, რომ განვაცხადოთ, უკვე საშიშია. ფრთხილად უნდა ვიყოთ.”. – **ბათუმი, ქალი, 50 წლის**

# უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეუწყობს ხელს

ანსხვავებული მოსაზრებები არსებობს საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით შემდეგს? (q12)

ვეთანხმები | არ ვეთანხმები | არ ვიცი | უარი პასუხზე



# ყოველ მეორე მოქალაქეს სჯერა, რომ საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს

ახალგაზრდები, თბილისის მაცხოვრებლები და პოლიტიკურად გადაუწყვეტელი მოქალაქეები უფრო სკეპტიკურად უყურებენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს.

## დღეიდან 15 წლის შემდგომ არსებულ მდგომარეობაზე თუ ვიფიქრებთ, ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით, რომ საქართველო აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას? (q17)



# ეკონომიკა

# ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ ᲗᲣ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ: (q21)



# მოსახლეობის ნახევრისთვის მისაღებია მთავრობის გადაწყვეტილება არ შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ სანქციებს

**რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა რუსეთს გარკვეული ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ რუსეთის წინააღმდეგ გლობალურ სანქციებს არ შეერთებოდა. თქვენთვის მისაღებია, თუ მიუღებელია საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება? (q27)**




"[მთავრობა] უფრო იზღვევს თავს, არ მგონია ჩვენც რამე სანქციების დაკისრება შეგვეძლოს და ესეთი ძლიერი სახელმწიფო ვიყოთ და ამიტომ იზღვევენ თავს საფრთხისგან.". - ზუგდიდი, ქალი, 27 წლის

"ჩემი აზრით, ესე მარტივად ვერ შევწყვეტთ [რუსეთთან ურთიერთობებს] და არც შეწყვეტენ ურთიერთობას. ახალი ბაზრები უნდა მოვიძიოთ ექსპორტი რო ვაწარმოოთ და ასევე იმპორტითაც მხოლოდ ერთ ქვეყანაზე იყო დამოკიდებული ცოტა სასაცილო არის, ალტერნატივები მაინც უნდა გაგაჩნდეს". - თბილისი, ქალი, 28 წლის

"თუ დღეს ჩვენ შევუერთდებოდით დასავლეთის ქვეყნებს, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს, ეს გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნას, დაბლა, რადგან მოგეხსენებათ, რომ საქართველო, რუსეთის ბაზარზეა დამოკიდებული, რაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, ვინაიდან თავის დროზე ვერ გათვალეს მოსალოდნელი რისკები". - ბათუმი, ქალი, 28 წლის

# ქართული ოცნების მხარდამჭერები და უფროსი ასაკის მოქალაქეები უფრო მეტად უჭერენ მხარს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომ საქართველო არ შეუერთდეს სანქციებს

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა რუსეთს გარკვეული ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ რუსეთის წინააღმდეგ გლობალურ სანქციებს არ შეერთებოდა. თქვენთვის მისაღებია, თუ მიუღებელია საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება? (q27 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# რუსეთის შეჭრა უკრაინაში

#slavaukraini

# უმრავლესობა ფიქრობს, რომ რუსეთი მეზობელი ქვეყნებისთვის დიდი საფრთხეა

თქვენი აზრით, როგორ სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს, თუ საერთოდ წარმოადგენს, რუსეთი მისი მეზობელი ქვეყნებისათვის? დიდ საფრთხეს, მცირე საფრთხეს, თუ საერთოდ არ წარმოადგენს საფრთხეს? (q18)




"რა თქმა უნდა, სრული პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება იმიტომ, რომ რუკას რომ შევხედოთ, უკრაინა არსად არ არის შესული, თავის საზღვრებს შიგნით ხდება. ანუ ინტერვენცია ვის საზღვრებს შიგნითაც ხდება ის არის ავტომატურად თავდაცვით პოზიციაში მდგომი." –
თელავი, კაცი, 21 წლის

"პუტინს რუსეთის იმპერიის - საბჭოთა კავშირის ძველი დიდების აღდგენა უნდა" -
**თბილისი, ქალი, 20 წლის**

# მოსახლეობას სჯერა, რომ ომი რუსეთის ბრალია

თქვენი აზრით, ვისი ბრალია უკრაინაში ომი? არაუმეტეს 3 პასუხი (q29)




“პასუხისმგებლობა სრულიად რუსეთის ფედერაციას ეკისრება, უშუალოდ პუტინს და მის გარემოცვას და ბრალეულობა არის ყველა იმ ქვეყნის, ვინც უბრალოდ შეშფოთებას აფიქსირებს და არაფერს აკეთებს, უმოქმედოდ არიან და უბრალოდ შეშფოთებულები არიან.” – **თბილისი, ქალი, 27 წლის**

“ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ფედერაციას და პირველ რიგში პუტინს და რაც შეეხება ბრალეულობას, მე არანაკლებ ბრალეულობას ვხედავ ამერიკის და ევროპის მხრიდან, როგორც 2008 წლის ომში, ისე ეხლა, რაღაცა გაღიზიანებებს აწვევინებენ ამ პატარა სახელმწიფოებს იმ დიდ ტირანთან და შემდეგ თვითონ სანქციებით და ასეთი რაღაცეებით იწერენ პლიუსებს” - **თბილისი, კაცი, 24 წლის**

# უმრავლესობა უკრაინელ ხალხსა და მათ მთავრობას დადებითად აფასებს

საერთო ჯამში, როგორი დამოკიდებულება გაქვთ უკრაინის მთავრობის/უკრაინელი ხალხის მიმართ? (q22)




“მათ ერთიანობას ვაფასებ და ერთ მუშტად რო არიან შეკრულნი. სამაგალითო რომ გახდა ყველა ქვეყანისთვის ისეთია უკრაინის ხალხი, გვერდში თანადგომა და ყველაფერი, რომ აქვთ. სამაგალითოები არიან.“- **ბათუმი, ქალი, 53 წლის**

“ჩემი აზრით, ძალიან ღირსეულად დაუხვდნენ ამ ომს, როგორც ხალხი, ასევე მმართველ პარტია. ღირსეული საქციელია, რომ ხალხი ითვალისწინებს მთავრობის რეკომენდაციებს და მიყვება ამ გაწერილ გეგმას. ჩემი აზრით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.” - **თბილისი, ქალი, 20 წლის**

# მოსახლეობა ფიქრობს, რომ უკრაინას ყველაზე მეტად ევროკავშირი დაეხმარა

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვინ დაეხმარა უკრაინას? არაუმეტეს 3 პასუხი (q28)




“რაც შეეძლო ალბათ პატარა ქვეყანებს, თავისი გააკეთეს და დაეხმარნენ და ალბათ უფრო დიდ ქვეყანებს მეტის გაკეთება შეუძლიათ და უფრო მეტი რამის გაღება უკრაინისთვის. კარგი იქნებოდა რომ უშუალოდ ჯარით დახმარებოდა და ხელი შეეშალათ რუსეთისთვის.” **- თბილისი, ქალი, 20 წლის**

“მართლა ძალიან მაქსიმალურს აკეთებენ, მე რასაც ვუყურებ. არ ველოდი ასეთ გაერთიანებას უკრაინის გარშემო ქვეყანების, მართლა არ ველოდი, რომ ამხელა დახმარებას მიიღებდა, მაგრამ ნუ თავს ზემოთ ძალა არ არის.” - **თელავი, ქალი, 23 წლის, სტუდენტი**

# რუსეთი და რუსები

#SlavaUkraini

# საქართველოს მოსახლეობისთვის ყველა რუსი ერთნაირი არაა

#notallrussians

## საქართველოს მოსახლეობა რუს ხალხს უფრო დადებითად აფასებს ვიდრე, რუსეთის მთავრობას

საერთო ჯამში, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის მთავრობის /რუსი ხალხის მიმართ? (q24, q25)



# მოსახლეობისთვის ყველა რუსი ერთნაირი არაა

## #notallrussians

საერთო ჯამში, როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსი ხალხის მიმართ? (q25 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



# უმრავლესობა რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესებას უჭერს მხარს

ამჟამად რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ. თქვენი აზრით, უნდა შემოიღოს თუ არა საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის? (q34)



# სავიზო რეჟიმის შემოღებას ყველაზე მეტად ქართული ოცნების მხარდამჭერები, კაცები და უფროსი ასაკის მოქალაქეები არ უჭერენ მხარს

ამჟამად რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ. თქვენი აზრით, უნდა შემოიღოს თუ არა საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის?(q34 X დასახლების, ასაკის, სქესისა და პოლიტიკური მხარდაჭერის მიხედვით)




“ცუდი დახვედრა და ხელის კვრა არ შეგვეფერება. იქ ჩვენი ქართველები გვყავს, რომელიც აქ თავიანთ ოჯახებს ინახავენ. იმის საშიშროებაც ხომ არის, რომ იქ რაღაცა ცუდად შეეხონ? ამიტომ, ჩვენი სტუმართმოყვარეობით უნდა მივიღოთ და სადამდეც გავუძლებთ, გავუძლებთ.” - **თბილისი, ქალი, 72 წლის**

# მომავალი

# მოქალაქეები ქვეყნის დატოვებას არ აპირებენ, თუმცა ზოგს არ სჯერა, რომ კრიზისის დროს მთავრობა სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს

ახალგაზრდები, თბილისის მაცხოვრებლები და ოპოზიციის მხარდამჭერები მთავრობის მიერ კრიზისის დროს სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარს უფრო კრიტიკულად აფასებენ.

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (q32)



# უმრავლესობა ფიქრობს, რომ უკრაინაში ომის შედეგად, მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება

უკრაინაში ომზე თუ ვისაუბრებთ, თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს ეს თქვენი და თქვენი ოჯახის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე? თქვენი და თქვენი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ... (q31)



www.ndi.org

# უმრავლესობა ეკონომიკის გაუარესებას, პრო-რუსული ძალების გააქტიურებასა და რუსეთის სამხედრო აგრესიას ელის

ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია ან არ არის მოსალოდნელი, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში შემდეგი მოვლენები განვითარდეს? (q30)




ახალგაზრდები ყველაზე პესიმისტურად არიან განწყობილნი. თბილისის მაცხოვრებლები პრო-რუსული პოლიტიკური ძალების გააქტიურებაზე ყველაზე მეტად ღელავენ.

კვლევა დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის მიერ.

# NDI-CRRC კვლევები ხელმისაწვდომია:

- → WWW.NDI.ORG/GEORGIA-POLLS
- → WW.CAUCASUSBAROMETER.ORG